# საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
# ბრძანება N 01-09/419

ქ. ბათუმი 17 აგვისტო, 2016 წ.

**ბსუ–ს ზოგიერთი სტუდენტისათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე**

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2016 წლის 03 აგვისტოს MES 6 16 00935454 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილ იქნა იმ სტუდენტთა შესახებ ინფორმაცია, რომელთა საგანმანათლებლო პროგრამის ოპტიმალური ვადა ამოიწურა 2014–2015 სასწავლო წლის ბოლოს, ვერ შეასრულეს პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები, ერიცხებოდათ აკადემიური დავალიანებები და 2015-2016 სასწავლო წელს არ გაუვლიათ დამატებითი აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია.

ზემოაღნიშნულ სტუდენტთა მიმართ ბსუ–ს რექტორის 2015 წლის 06 აგვისტოს №01–09/334 ბრძანებით დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება ბსუ–ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე სამართლებრივი აქტის გამოსაცემად. ადმინისტრაციული წარმოების პროცესში სტუდენტებმა მომართეს განცხადებებით უნივერსიტეტს და მოითხოვეს გამონაკლისის დაშვება აკადემიური დავალიანების დაფარვის შესაძლებლობის სახით. სტუდენტთა განცხადებების გათვალისწინებით, ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 29 ივლისის №89 დადგენილების საფუძველზე გამოიცა ბსუ–ს რექტორის 2015 წლის 10 სექტემბრის №01-09/353 ბრძანება, რომლითაც მათ მიეცათ შესაძლებლობა დაერეგისტრირებინათ და აეთვისებინათ აკადემიური დავალიანებები 2015–2016 სასწავლო წლის განმავლობაში. აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია უნდა განხორციელებულიყო შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების დაწყებისათვის განსაზღვრულ ვადებში (ამასთან, ერთი სასწავლო წლის განმავლობაში ათვისებული კრედიტების ოდენობა არ უნდა ყოფილიყო 75 კრედიტზე მეტი). დღევანდელი მდგომარეობით ამ სტუდენტებს კვლავ ერიცხებათ აკადემიური დავალიანებები.

ბსუ-ს წესდების 66-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვისთანავე პირს უწყდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი. გამონაკლისი შეიძლება დაიშვას აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ–ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“-ს მე-4 მუხლის ,,თ" პუნქტის თანახმად, პროგრამის ოპტიმალური ვადის ამოწურვის შემდეგ დამატებით სემესტრში/სასწავლო წელს აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო სტუდენტს უწყდება სტუდენტის სტატუსი. გამომდინარე იქედან, რომ მათ არ გამოიყენეს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით მინიჭებული უფლებამოსილება და დღევანდელი მდგომარეობით კვლავ ერიცხებათ აკადემიური დავალიანებები, კანონშესაბამისია მათ მიმართ გამოიცეს ბრძანება ბსუ–ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 72- 76-ე და 95 – 101 -ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–13 და 66–ე მუხლების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის განხორციელების წესის, ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015-2016 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ” ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 29 ივლისის №90 დადგენილების, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2016 წლის 03 აგვისტოს MES 6 16 00935454 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. შეუწყდეთ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი დანართი 1-ით განსაზღვრულ იმ სტუდენტებს, რომელთა საგანმანათლებლო პროგრამის ვადა ამოიწურა 2014–2015 სასწავლო წლის ბოლოს, გაუხანგრძლივდათ ერთი სასწავლო წლით სწავლების ვადა და მაინც ვერ შეასრულეს პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები (ერიცხებათ აკადემიური დავალიანებები).

2. ბრძანება ეცნობოთ დაინტერესებულ პირებს – სტუდენტებს, ასევე განთავსდეს მათ პირად საქმეებში.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

4. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი მ. ხალვაში

დანართი №1

## ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

| № | გვარი, სახელი | პირადი ნომერი | საგანმანათლებლო პროგრამა (სპეციალობა) | უმაღლესი განათლების საფეხური |
|---|---|---|---|---|
| 1. | მიქელაძე სოფიკო | | ქართული ფილოლოგია | ბაკალავრიატი |
| 2. | გუნდაძე მარიამ | | ქართული ფილოლოგია | ბაკალავრიატი |
| 3. | შავაძე ნინო | | ქართული ფილოლოგია | ბაკალავრიატი |
| 4. | ვერძაძე სოფიკო | | ინგლისური ფილოლოგია | ბაკალავრიატი |
| 5. | კვესიეიშვილი თამთა | | ინგლისური ფილოლოგია | ბაკალავრიატი |
| 6. | დოლიძე ქრისტინე | | ინგლისური ფილოლოგია | ბაკალავრიატი |
| 7. | იაკობაძე თეონა | | ინგლისური ფილოლოგია | ბაკალავრიატი |
| 8. | ლორთქიფანიძე მარიამ | | ფილოსოფია | ბაკალავრიატი |